ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

დადგენილება:**დ-67. 6725150001**

თარიღი:**30/05/2025**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №9

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ქალაქ ბაღდათის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „რ“ პუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 148-ე მუხლის მე-4 ნაწილის, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 209^3 მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების შესაბამისად,ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ქალაქ ბაღდათის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ბაღდათის მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების, საზოგადოებრივ სივრცეებში სისუფთავის დაცვის, მწვანე ნარგავების შენარჩუნების მიზნით აიკრძალოს ქალაქ ბაღდათის ტერიტორიაზე მდებარე პარკებსა და სკვერებში-საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ცენტრალური საავტომობილო გზის მიმდებარე ტროტუარებზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოლა/ყოფნა.

მუხლი 3

საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირება განახორციელოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა და ა(ა)იპ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება“-მ (ს/ნ 425052523).

მუხლი 4

დაევალოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიას მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებების, ბაღდათის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ინფორმაციის განთავსების გზით.

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

ნოდარ გიორგიძე

გამოყენებულია კვალიფიციური